„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლიდო ასათიანი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * ივნისი. 2023 *(4)87

ადგილზე გაეცნენ მიმდინარე სამუშაოებს

იყო დრო, როდესაც უსახსრობისა თუ საქმისადმი დილეტანტური მიდგომების შედეგად მუნიციპალიტეტში მასშტაბური ინფრასტუქტურული პროექტების განხორციელება კი არა, უმნიშვნელო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებიც კი არ მიმდინარეობდა. მაგრამ, დროთა განმავლობაში, თითქოს ყველაფერი კალაპოტში ჩადგა და უკანასკნელი ათი წელია, იმდენი სასიკეთო საქმე კეთდება, რომ, როგორც დაბა, ასევე სოფლები, მთლიანად იცვლიან იერ-სახეს. და ეს ყველაფერი იმის შედეგია, რომ რეგიონული მმართველობის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის შეთანხმებული მუშაობის შედეგად მიღწეულია სოლიდური ფინანსური ასიგნებების გამოყოფა, რაც საშუალებას იძლევა იმაზე მეტი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდეს, რაც კიდევ უფრო გაალამაზებს დასახლებულ პუნქტებსა და შესანიშნავ გარემოს შექმნის ტურისტებისა თუ ექსკურსანტების მიღებისათვის.

ამიტომაც არის, რომ სადეპუტატო მოვალეობის შესრულებასთან ერთად მუნიციპალიტეტს ხშირად სტუმრობს საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ანტონ ობოლაშვილი და მერიასთან და საკრებულოს ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად მაქსიმალურად ზრუნავს ახალი პროექტების როგორც განხორციელების, ასევე სამუშაოების ხარისხიანად და ვადებში შესრულებისათვის.

ამ მიზანს ემსახურებოდა ამ დღეებში მისი სტუმრობა დაბა ასპინძაში. ანტონ ობოლაშვილმა ასპინძის მერთან – როსტომ მაგრაქველიძესთან ერთად დაათვალიერა ასპინძაში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები, კერძოდ, თუ როგორ მიმდინარეობს ასპინძის კულტურისა და დასვენების პარკისა და ერეკლე მეორის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლების მაღალი ტემპით დაინყო და იმედია ყველა სამუშაო განსაზღვრულ ვადებში დამთავრდება.

გარდა ამისა, ანტონ ობოლაშვილი და როსტომ მაგრაქველიძე ესტუმრნენ ა(ა)იპ ვალერიან მაღრაძის სახელობის ასპინძის სამუსიკო სკოლას, მოუსმინეს ამ სკოლის მოსწავლეთა შესრულებით სხვადასხვა მუსიკალურ ნომრებს, სკოლის შემდგომი განვითარების სამომავლო გეგმებზე ესაუბრნენ მის ხელმძღვანელსა და პედაგოგებს.

საკ. ინფორმაცია

დამოუკიდებლობის დღე საზეიმოდ აღინიშნა

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ და ადგიილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ასპინძის მუნიციპალიტეტის გართობისა და დასვენების პარკში საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული გმირების მემორიალი გვირგვინებითა და ყვავილებით შეამკეს.

საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა მოსახსენიებელი პანაშვიდი წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მღვდელმსახურმა მამა ზაქარიამ აღავლინა.

ზუსტად 105 წლის წინ, 1918 წლის 26 მაისს, თბილისში, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი მიიღო.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი ასპინძის კულტურის ცენტრში გაიმართა. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფები: ა(ა)იპ ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება – კულტურის ცენტრის თანამშრომლები, ფოლკლორული ანსამბლი „წუნდა„, მუნიციპალიტეტის ბავშვთა მოქმედი ქორეოგრაფიული ანსამბლები „სამცხე„ და „ვარძია„, სოფელ ივერიის საჯარო სკოლის მოსწავლეები.

ღონისძიებას ორგანიზებას უწევდა ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახური.

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

მიმდინარე წლის 18 მაისს გაიმართა ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართა. დეპუტატებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის № 9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2. „ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 ივლისის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

3. ასპინძის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სამი თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შეფასების შესახებ;

4. ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ა(ა)იპ „ასპინძის გარეგანათებისთვის“ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე;

5. ასპინძის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2023 - 2027 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

დეპუტატებმა საკითხები ხმათა უმრავლესობით დაამტკიცეს. სხდომას თავმჯდომარეობდა ბესიკ ბერიძე.

მაკა ბერიძე

სამხარეო ადმინისტრაციაში

სამცხე-ჯავახეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ბესიკ ამირანაშვილმა, პირველ მოადგილესთან დავით ვარდიაშვილთან და მოადგილესთან შოთა როსტიაშვილთან ერთად შპს „საქართველოს მელიორაციის“ ხელმძღვანელ პირებთან სამუშაო შეხვედრა გამართა, სადაც საქართველოს მელიორაციის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელთან გენადი კერძევაძესთან ერთად რეგიონში სამელიორაციო სისტემებზე არსებული მდგომარეობა, რწყვის სეზონთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს.

შეფასდა მუნიციპალიტეტების მიხედვით განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტები.

2012 წლიდან დღემდე რეგიონში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 19,4 მილიონი ლარის ღირებულების 35 სარეაბილიტაციო პროექტი განხორციელდა. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 131 კილომეტრის სიგრძის საირიგაციო არხებს, შეკეთდა 4 სათავე-ნაგებობა და 11 სატუმბი სადგური. შედეგად მიწის ფართობი, რომელიც რეგულარულად მოირწყვება, 11 465 ჰექტრამდე გაიზარდა, წყლით უზრუნველყოფა 1690 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გაუმჯობესდა.

სამუშაო შეხვედრას საქართველოს მელიორაციის, სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციის წარმოამდგენლები და რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების მერები ესწრებოდნენ.

მიმდინარეობს ერეკლე მეორის ქუჩის სრული რეაბილიტაცია

ერეკლე მეორის ქუჩა დაბა ასპინძაში ერთ-ერთი გრძელი და თავისი მნიშვნელობით გამორჩეულია, რადგან იგი ძირითადად მაინც ასპინძის პირველი დასახლების უბნებს აერთიანებს და ამ ქუჩაზე მდებარეობს უძველესი ასპინძის ციხე. ამ ქუჩის გაგრძელებაზე ძირითადი გზა მიემართება სოფელ ოთის მიმართულებით, რომელიც გასავლელი აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, ვისაც ასევე სურს მოინახულოს აგარის ეკლესია, ამავე სოფლის სიახლოვეს მდებარე შორეთის უნიკალური მონასტერი, ღართის შესანიშნავი ეკლესია და კოდიანის მთები.

დიდი ხანია დღის წესრიგში დადგა ამ ქუჩის ინფრასტრუქტურის თანამედროვე სტანდარტების დონეზე კეთილმოწყობა, პირველ ეტაპზე (იგი ორ ეტაპად მიმდინარეობს) სრულიად შეიცვლება დაბის ცენტრიდან დაწყებული ჯავახეთიშვილის ქუჩის გადაკვეთამდე მისი რეაბილიტაცია, რითაც შესანიშნავი პირობები შეექმნება მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს.

ასევე აღსანიშნავია, რომ ამ ქუჩაზე განლაგებულია რამდენიმე სახელმწიფო ობიექტი და მათი შემოგარენის კეთილმოწყობა გადაუდებლად აუცილებელი იყო. უფრო მეტიც, მთლიანად შეიცვლება სამუსიკო სკოლისა და რაიონული ბიბლიოთეკის შენობასთან, ასევე გზის მარცხენა მხარის გაგრძელებაზე საყრდენი კედლები და სანიაღვრე არხი. ქუჩას დაამშვენებს დეკორატიული ღობეები.

ერეკლე მეორის ქუჩის სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოებს აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია ,,ნდს მშნებლობა", რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 886 800 ლარს.

მიუხედავად უამინდობისა, სამუშაოები შეუფერხებლად მიმდინარეობს და განსაზღვრულ ვადებში დამთავრდება.

საკ. ინფორმაცია

„მინდა ყველა მე-12 კლასელს მივულოცო სკოლის დამთავრება!

განსაკუთრებით გილოცავთ ასპინძის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებს. თქვენ იწყებთ სრულიად ახალ ცხოვრებას, გადადიხართ განსხვავებულ ეტაპზე, წინ გელით ახალი ურთიერთობები, მეგობრები, სხვა პასუხისმგებლობა.

გისურვებთ წარმატებებს– ახალი გამოცდილებებით, ურთიერთობებით, ცოდნისა და განვითარების ახალი პერსპექტივებით, მეტი უფლებებითა და ამავდროულად, პასუხისმგებლობით საკუთარი მომავლისა და ქვეყნის წინაშე.

გისურვებთ, მოგეცეთ საშუალება მაქსიმალურად გამოავლინოთ საკუთარი შესაძლებლობები. მჯერა, თითოეული თქვენგანი იპოვის საკუთარ თავს და ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს ჩვენს საზოგადოებაში.

მთელი გულით გისურვებთ წარმატებებს ცხოვრების ამ ახალ ეტაპზე!"

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი,
როსტომ მაგრაქველიძე

სამცხე-ჯავახეთში მესხური ვაზის ტერასებზე გაშენების პროცესი იწყება

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი **ოთარ შამუგია** სამცხე-ჯავახეთში იმყოფებოდა, სადაც მესხური ვაზის გაშენების პროცესში მიიღო მონაწილეობა. მინისტრთან ერთად იმყოფებოდნენ რეგიონის რწმუნებულის მოადგილე **დავით ვარდიაშვილი,** ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი **როსტომ მაგრაქველიძე,** ადგილობრივი ხელისუფლების, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები.

სამცხე-ჯავახეთში ფერმერებისთვის ენდემური ვაზის ნერგების უსასყიდლოდ გადაცემა და გაშენება გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მიერ დაფინანსებული პროექტის – ***„აგრარული ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოწყვლად ეკოსისტემებსა და სასოფლო დასახლებებში"*** ფარგლებში ხორციელდება.

ადგილობრივებს წარმოებისთვის უსასყიდლოდ გადავცემთ მესხური ვაზის ნერგებს და ხორბლის თესლს. ***„მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დღეისათვის მესხური ვაზის 26 ჯიში გვაქვს მოძიებული. მათი დიდი ნაწილი აღდგენილია ჩვენს უნიკალურ ჯიღაურას ბაზაზე, სადაც ძალიან მნიშვნელოვანი სამეცნიერო საქმიანობა მიმდინარეობს. აღნიშნული გვაძლევს საშუალებას, განვახორციელოთ პროექტები, რომელთა მიზანიც არის, ერთი მხრივ, დავიცვათ ჩვენი ბიომრავალფეროვნება და, მეორე მხრივ, დავეხმაროთ ადგილობრივ მაცხოვრებლებს, გაიუმჯობესონ სოციალურ-ეკონომიკური პირობები",*** – განაცხადა ოთარ შამუგიამ.

„კამპანია – „გავაცოცხლოთ მესხური ვაზის ფესვები!" გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად ხორციელდება და მისი მიზანია მესხური ვაზის და მესხური ხორბლის ჯიშების შენარჩუნება, აღდგენა და აგროტურიზმის ციკლში ჩართვა. ოთხი საუკუნის წინ დაკარგული ტრადიციის აღდგენა რთულია და ამას ეტაპობრივად ვგეგმავთ. ეს არის კამპანია, რომელსაც აქვს გლობალური ხასიათი, რადგან მესხური ვაზი და მესხური ხორბალი გლობალური მნიშვნელობისაა; აგრობიომრავალფეროვნების თვალსაზრისით მაღალი ღირებულების მატარებელი პროდუქტებია და მათი დაბრუნება გასტროპროდუქტებში და აგროტურიზმის სექტორში არის პროექტის პირდაპირი მიზანი", – ასევე განაცხადა პროექტის აღმსრულებელმა დირექტორმა **სოფო ახობაძემ.**

მესხური ვაზის ჯიშის აღდგენასა და გაშენებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. გადაშენების პირას მისული ადგილობრივი აბორიგენული ჯიშების მოძიება, აღდგენა და დაცვა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჯიღაურას ბაზაზე მოხდა. ეს უნიკალური ბაზა სამეცნიერო-კვლევით ცენტრს 2014 წელს ფონდმა „ქართუმ" უსასყიდლოდ გადასცა.

გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ***„აგრარული ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოწყვლად ეკოსისტემებსა და სასოფლო დასახლებებში"*** მხარდაჭერით, მცირე და საშუალო ფერმერებს საშუალება ეძლევათ, რეგიონში გააშენონ და წარმოებაში დააბრუნონ აღდგენილი ენდემური ჯიშები, ასევე დაგეგმილია სანერგე მეურნეობის მოწყობა, რომელიც უზრუნველყოფს ნერგებზე მოთხოვნის დაკმაყოფილებას და მესხური ვაზის ჯიშების პოპულარიზაციას.

პროექტი ინიცირებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

სამინისტროს მიერ და ფინანსდება გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მიერ. პროექტს ახორციელებს გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP) კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის (REC) მეშვეობით.

ოლღა ბერიძე,
ასპინძის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის წამყვანი სპეციალისტი

ფოლკლორული ანსამბლი „წუნდა" უნივერსიტეტში

აფხაზეთის დღეებთან დაკავშირებით ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ღონისძიება, რომელშიც ასპინძის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ფოლკლორული ანსამბლი „წუნდა„ მონაწილეობდა. ღონისძიებაზე ანსამბლი „წუნდა„ მოწვეული სტუმრებისა და სტუდენტების წინაშე სხვადასხვა ფოლკლორული და ხალხური შესრულებით წარსდგა.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა მაკა ბერიძემ ღონისძიების დასასრულს ანსამბლის თითოეული წევრი უნივერსიტეტის მადლობის სიგელებით დააჯილდოვა.

„ეჰეი, არ ღაიკარჯები?"

ესა ვარო, რაკა ვარო!

ეს რა ჭირი გვჭირს ქართველებს,
მუდამ რომ ვჭამთ ერთმანეთსა,
ვემტერებით ყველა წმინდანს,
ქართულ ზნეს და ქართულ გენსა.

ერთმანეთის სიძულვილით
ვეჯიბრებით ძაღლს და მგელსა,
დაუნდობლად ვმტრობთ ერთმანეთს,
მერე სხვაგან ვეძებთ მტერსა.

არ ვიცი რა გვემართება,
ამინდივით ვიცვლით ფერსა,
გულით ზამთარს დავემსგავსეთ,
საქციელით მარტის თვესა.

ისე ვესხმით თავს ერთმანეთს,
ვით მოსისხლე მოსისხლესა,
ერთურთს ურცხვად განვიკითხავთ
და სულ სხვისკენ ვიშვერთ ხელსა.

შვილის ყოლა აღარ გვინდა,
ჩვენ დაგვღუპავს სწორედ ესა,
დავილიეთ, დავცოტავდით,
დავემსგავსედ მეჩხერ ტყესა.

ზოგიერთი სულმდაბალი
ირგვლივ სთესავს სიცრუესა,
დღენიადაგ იმას გესლავს,
ვინც სიკეთეს ქადაგებსა.

ზოგი მიზნის მისაღწევად
საქმეს ირჩევს შავს და ბნელსა,
ვინც გაბედავს ხელის შეშლას
გაუმწარებს სიცოცხლესა.

მტრად ქცეული ჩვენიანი
ვერაგობით სჯობნის მტერსა,
მათგან ქმნილი ავკაცობა
ბევრი ახსოვს ქართველ ერსა.

თვალწინ ხდება ის, რაც ხდება,
საქმესა ვიქმთ საკვირველსა,
რასაც თავად ვვნებთ ქვეყანას,
შეშურდება ყველა მტერსა!

ავტორ-მთქმელი **ზაურ ჯვარიძე,**
74 წლის, ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭობარეთი,
2022 წლის 31 დეკემბერი

ინტერვიუ

ილია თედორაძე

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის სტუმარია სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი ილია თედორაძე, რომელსაც ვთხოვეთ ტურისტული სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით მკითხველს მოუთხროს მათ მიერ 2022-2023 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ:

– ბატონო ილია, ვიდრე ინტერვიუს ძირითად ნაწილს შევეხებოდეთ, გვინდა ჩვენი გაზეთის მკითხველს გავაცნოთ თქვენი თავი – ვინ არის ილია თედორაძე?

– დავიბადე 1983 წლის 13 ივნისს დაბა ასპინძაში.

2000 წელს დავამთავრე ასპინძის საჯარო სკოლა. ამავე წელს ჩავირიცხე და 2004 წელს დავამთავრე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ მესხეთის ფილიალი, მინის მართვის ფაკულტეტი, აგრო ბიზნეს მენეჯერის სპეციალობით.

მყავს მეუღლე და სამი შვილი.

რაც შეეხება სამუშაო გამოცდილებას, 2008-2011 წლებში ვმუშაობდი საქ.ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ახალციხის (რეგ.ცენტრი) საგადასახადო ინსპექციაში სხვადასხვა პოზიციაზე. 2011 წელს – გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის ბიუროს სწრაფი რეაგირების ჯგუფში; 2013-2014 წლებში ვხელმძღვანელობდი სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასპინძის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურს; 2014-2022 წლებში კარიერა გავაგრძელე კერძო სექტორში – ვიმუშავე ჰოლდინგურ კომპანია „თეგეტა მოტორსში„, ჯერ ახალციხის ფილიალის დირექტორად (2014-2018 წ.წ.), 2018-2022 წლებში ამავე კომპანიის ახალქალაქის ფილიალის დირექტორად.

– როდიდან დაიწყეთ მუშაობა მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორის თანამდებობაზე და ხომ არ შეგხვედრიათ რაიმე წინააღმდეგობა ამ თანამდებობაზე?

– 2022 წლის სექტემბერში დავინიშნე სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში, ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორის პოზიციაზე, სადაც, გარდა ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალისა, გაერთიანებულია ვანის ქვაბების სამონასტრო კომპლექსი და ხერთვისის ციხე.

– ცხადია, სახელმწიფოს მხრიდან ისეთი უნიკალური ძეგლის მიმართ, როგორიც ვარძიაა, ყურადღებაც მაქსიმალურადაა გაზრდილი. იქნებ გვითხრათ რა ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა 2022-2023 წლებში და უახლოეს მომავალში კიდევ რისი გაკეთებაა შესაძლებელი თანამედროვე სტანდარტებს რომ აკმაყოფილებდეს მუზეუმ-ნაკრძალი უცხოელი თუ ჩვენი ქვეყნის მასშტაბით აქ ჩამოსული ნებისმიერი დამთვალიერებლისათვის?

– უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტოს მხრიდან ძეგლთან მიმართებაში მნიშვნელოვნადაა გაზრდილი კონსერვაციის სამუშაოების მიმართ ყურადღება. ვინაიდან ვარძია უნიკალური ძეგლია და ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათია და, ამავდროულად, იგი ხერთვისის ციხესთან ერთად კანდიდატია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში, მუდმივად საჭიროებს გარკვეული ტიპის ჩარევასა და დაცვა-გამაგრების სამუშაოების წარმოებას. ჩასატარებელი სამუშაოების პრიორიტეტების განსაზღვრა ძირითადად ხორციელდება უცხოელი ექსპერტების კონსულტაციებისა და რეკომენდაციების მიხედვით, სადაც, ასევე ჩართული არიან ქართველი სპეციალისტებიც.

2021 წელს აქტივობები განხორციელდა მილანო ბიოჩას, ბოლონიისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტების მონაწილეობით. უცხოელ ექსპერტთა მომუშავე ჯგუფიდან მონაწილეობას იღებდნენ: პროფ. კლაუდიო მარგოტინი (პროექტის სამეცნიერო კოორდინატორი); დოქტორ-ინჟინერი დანიელე სპიციკინო (მკვლევარი/ვიცე კოორდინატორი); დოქტორი ჯიორჯიო გიაკეტი (მაკკაფერის კონსულტანტი); პროფ. ჯოვანი ჯილლი (UNIFI); პროფ. უილიამ ფრიოდელა (UNIFI); დოქტორი ლუკა ლომბარდი (UNIFI).

წლის განმავლობაში ხორციელდებოდა ვარძიის კომპლექსური მონიტორინგი ქსელის ონლაინ მონაცემების (ვარძიის გეორადარი, მიკროკლიმატი, ნაპრალებზე დამონტაჟებული ექსტენზომეტრები, სეისმური სენსორები) ანალიზი და ძეგლზე ზემოქმედი ბუნებრივი პროცესების შეფასება, მათი კრიტიკულობის ხარისხის განსაზღვრა და შეჯერება საველე კვლევების შედეგებთან.

– დასამალი არაა, რომ უსაფრთხოების თვალსაზრისით, კვლავ პრობლემების წინაშეა ვარძიის კომპლექსი, კარგია, რომ მთელ ფასადს დამცავი ბადეები გაუკეთდა, მომავალში კიდევ რის გაკეთებას აპირებთ?

– სააგენტოს მთავარი ამოცანა და პრიორიტეტია როგორც ძეგლის ამჟამინდელი სახით შენარჩუნება, ამავდროულად, ვიზიტორთა უსაფრთხოება. სწორედ, ზემოთ აღნიშნული ექსპერტ-სპეციალისტთა ჯგუფების მონაწილეობით შემუშავდა სამოქმედო გეგმა, რომლის საფუძველზეც მიმდინარე წელს მოეწყობა დამატებით 800 კვ.მ. დამცავი ბადე და 7 კრიტიკული უბნის გამაგრება ანკერირების მეთოდით. 2022 წლის ოქტომბრის თვეში ამავე მეთოდით გამაგრდა 3 კრიტიკული უბანი.

და კიდევ: დაკვირვების სამუშაოები მიმდინარეობს სისტემატურად, რათა დაცული იქნას უსაფრთხოება და, ამავდროულად, შენარჩუნდეს ძეგლის იერსახე.

– ამჟამად რამდენი თანამშრომელი ემსახურება ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალს, მათ შორის ექსკურსიამძღოლი, რომელ უცხო ენებზე ტარდება ექსკურსიები და გყავთ თუ არა სათანადოდ მომზადებული კადრები? გადიან თუ არა ე.წ. ტრენინგებს და აკმაყოფილებს თუ არა მსგავსი მომზადებები მათ პროფესიულ დონეს? ახალგაზრდა კადრების მოზიდვა თუ ხდება?

– ამჟამად გუნდი წარმოდგენილია 27 თანამშრომლით. ექსკურსიები ტარდება ქართულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე. ასევე გვაქვს აუდიო გიდის მომსახურება. მისი მეშვეობით ვიზიტორებს საშუალება აქვთ ინფორმაცია მიიღონ უკრაინულ ენაზეც.

რაც შეეხება კადრების პროფესიონალიზმს: ვფიქრობ, ვარძიაში მოსულ ვიზიტორებს საშუალება აქვთ გაეცნონ ვარძიის, როგორც ძეგლის ისტორიას მისი შექმნიდან დღემდე. ამომწურავი პასუხები მიიღონ ნებისმიერ კითხვაზე.თავად დარწმუნდეს ვარძიის სიდიადეზე, XII საუკუნის ქართველ არქიტექტორთა მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ ამ საოცრებაზე. რომ ვარძია იყო 13 სართულით წარმოდგენილი და ყველა სართული ერთმანეთს უკავშირდებოდა გვირაბების მეშვეობით. თუ როგორ მიეწოდებოდა კომპლექსს ანკარა მთის წყარო 3500 მეტრის სიგრძის ხელით კლდეში გაჭრილი დახურული გვირაბის მეშვეობით და როგორ იყო კომპლექსი დაქსელილი თიხის მილებით, როგორია ორპირი ქარის პრინციპზე დაყრდნობით შექმნილი სავენტილაციო სისტემა, როგორი თავდაცვითი საშუალებები არსებობდა და როგორ უკავშირდებოდნენ აქ მაცხოვრებლები გარე სამყაროს საიდუმლო გვირაბების მეშვეობით.

ასევე, ყველაზე მნიშვნელოვანი და დღემდე შემორჩენილია ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი თავისი განუმეორებელი სილამაზის მქონე ფრესკებით, სადაც წმინდანებთან ერთად წარმოდგენილია ქტიტორთა ფრესკებიც.

ამ ყველაფრის გაცნობას სათანადოდ უზრუნველყოფენ ჩვენი პროფესიონალი, შესაბამისი განათლებისა და მრავალწლიანი გამოცდილების მქონე ექსკურსიამძღოლები.

– გასულ წელს რამდენმა ვიზიტორმა დაათვალიერა ვარძია და მათ შორის უცხოელთა წილი როგორი იყო? ძირითადად რომელი ქვეყნის ვიზიტორები ჭარბობდნენ?

– 2022 წელს ვარძიას ესტუმრა 87 173 ვიზიტორი, სადაც თითქმის 70% სწორედ უცხო ქვეყნის მოქალაქეა. მათი ძირითადი ნაწილი ჩვენი მეზობელი ქვეყნებიდანაა. ძალიან დიდი წილი აქვს ისრაელის, პოლონეთის და ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნების, ასევე რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, ჩინეთის ქვეყნებიდან ვიზიტორებს. ვარძიას არც ამერიკელი და ავსტრალიერი ვიზიტორები აკლია.

– რა მდგომარეობაა მიმდინარე წელს, გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით გაიზარდა თუ არა ვიზიტორთა რაოდენობა?

– ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე წლის პირველი კვარტლის მონაცემებით დაფიქსირდა მოსული ვიზიტორების თითქმის 100%-იანი ზრდა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ვარძია მოინახულა 98% -ით მეტმა ვიზიტორმა. ეს ტენდენცია მზარდია და თუ, ყველა დანარჩენმა პირობებმაც ხელი შეგვიწყო (ვგულისხმობ, რა თქმა უნდა, რუსეთ-უკრაინის ომს, პანდემიით გამოწვეულ პრობლემებს) ვფიქრობ, ჩვენ წლის ბოლოსათვის გვექნება ვიზიტორთა რეკორდული მაჩვენებელი.

– რა მნიშვნელოვანი ღონისძიებები იგეგმება წელს ვარძიაში (სიმპოზიუმები, სამეცნიერო კონფერენციები...)

– ტრადიციულად, ყოველი წლის ივნისის თვეში ტარდება კონფერენცია პროფ. ვახტანგ ლიჩელის ხელმძღვანელობით, თემაზე – ,,ახალგაზრდა არქეოლოგები“, სადაც ქართველ არქეოლოგებთან ერთად მონაწილეობენ სხვადასხვა ქვეყნის არქეოლოგებიც. აგრეთვე, პერიოდულად, ზაფხულის პერიოდში, გაიმართება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, ფესტივალები, სადაც მონაწილეობას მიიღებენ რეგიონში არსებული ანსამბლები.

– თქვენი ძირითადი დაფინანსება რა წყაროებით ხდება და როგორია თანამშრომელთა შრომითი ანაზღაურება?

– ძირითადი დაფინანსების წყარო საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტია...

– ვიზიტორებს ძირითადად სად უხდებათ ღამის თევა და აქვთ თუ არა შესაბამისი პირობები?

რამდენი სასტუმრო მოქმედებს ვარძიის ტერიტორიაზე და აკმაყოფილებს თუ არა მზარდ მოთხოვნებს?

– ვარძიაში ხუთამდე ძირითადი სასტუმროა, ხოლო თითქმის ორი ათეული საოჯახო ტიპის სასტუმრო – ვარძიის მიმდებარე სოფლებში. ამ ეტაპზე, შეიძლება ითქვას, ვიზიტორებს აქვთ ფართო არჩევანი, აირჩიონ შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით მათთვის სასურველი სასტუმრო მომსახურება.

– რეგიონის ისტორიული ძეგლების, თვით ამ კუთხის ისტორიისა და კულტურის პოპულარიზაციისათვის რა კეთდება ვარძიაში (მხედველობაში მაქვს ისტორიული ძეგლების ამსახველი სუვენირების, სურათების და ა.შ). თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ვარძია კიდევ უფრო მიმზიდველი გახდეს უცხოელი ვიზიტორებისათვის.

– ამისთვის სამ ძირითად ნაწილს გამოვყოფდი:

1. პირველ რიგში უმნიშვნელოვანესია ვარძია ამჟამინდელი სახით გადავცეთ მომავალ თაობებს და, ამავდროულად, მაქსიმალურად იყოს დაცული თითოეული ვიზიტორის უსაფრთხოება;

2. მნიშვნელოვანია და სააგენტოს მხრიდან უცხოელი კონსულტანტების დახმარებით მიმდინარეობს მუშაობა, რომ მაქსიმალურად მოკლე დროში ჩაეწეროს ვარძია იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიაში;

3. გონივრულად და გეგმაზომიერად განვითარდეს მიმდებარე არეალში ყველა შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რაც საჭირო და აუცილებელია ყველა ტიპის ვიზიტორთათვის;

ეს არის ის სამი ძირითადი ფაქტორი, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის განსაკუთრებით უცხო ქვეყნის ვიზიტორებს.

– დიდი მადლობა ბატონო ილია ასეთი საინტერესო ინტერვიუსათვის. იმედს ვიტოვებთ, მომავალშიც მეტი გაკეთდება მისი პოპულარიზაციისა და უცხოელ ვიზიტორთა მოზიდვისათვის.

ინტერვიუს უძღვებოდა
ავთანდილ ბერიძე

გოკიელი „ფისიკ მუსა“

დღევანდელი ახალქალაქის რაიონის სოფელ გოკიოში ცხოვრობდა ერთი თათარი (გათურქებული ქართველი), მეტსახელად „ფისიკ მუსა“, რომელსაც ეს სახელი შერქმეული ჰქონდა შემდეგი მიზეზის გამო: საქართველო ახალი გასაბჭოებული იყო, სამცხე-ხდათარეშობდნენ ე.წ. მაჰმადიანი მესხების ბანდები და ძარცვავდნენ ქართველებს, მილიციას და უშიშროებას ჯერ იმის ძალა არ შესწევდათ, რომ ამ ბანდებს გამკვლავებოდნენ. ერთ-ერთი მათგანი მძარცველი იყო ზემოთ ხსენებული ფისიკ მუსაც, იგი ღამით მიიპარებოდა ხოლმე რომელიმე ქრისტიანის სახლთან, ავიდოდა ერდოზე და კატასავით დაიკნავლებდა კატის ხმაზე. სახლის პატრონები ფიქრობდნენ, ალბათ, კატა დარჩათ გარეთ და როდესაც რომელიმე გამოვიდოდა მის სახლში შესაყვანად, კარებთან შეიარაღებული მუსა დახვდებოდა, სწრაფად შეიჭრებოდა მის სახლში და პირწმინდად ძარცვავდა ოჯახს. ასეთი საქციელის გამო მას „ფისიკ მუსა“ შეარქვეს ზედმეტსახელად. იგი ძარცავდა ყველას, – როგორც ქართველებს, ასევე სომხებს და როცა ამ ხალხს მოთმინების ფიალა აევსოთ, გადაწყვიტეს ფისიკ მუსას მოკვლა.

ასპინძის რაიონის სოფელ დამალაში იმხანად ცხოვრობდა ერთი სომეხი კაცი, რომელსაც „ყარა მადოს“ ეძახდნენ, რომელმაც განაცხადა, რომ ფისისკ მუსას მოჰკლავდა. მისმა ნათქვამმა მუსამდეც მიაღწია. ისიც, თურმე ხშირად დადიოდა დამალის გავლით ახალციხეში და იმავე გზითვე ბრუნდებოდა უკან, თანაც ამბობდა – იქნება სადმე შემხვდეს ყარა მადოი და მე თვითონ მოვკლავო.

ერთ დღესაც ყარა მადოსთვის უთქვამთ, რომ ფისიკ მუსა ახალციხიდან უკან ბრუნდება და დამალის ტყეზე უნდა გაიაროსო, მან ერთი ახალგაზრდა დამალელი ბიჭი თან გაიყოლა და იმ გზაზე ჩაუსაფრდა, კერძოდ, ტყეში არსებულ წყაროსთან, სადაც მუსას აუცილებლად უნდა გაევლო. ფაქტიურად, წესად ჰქონდათ, ყველა გამლელი აქ ჩერდებოდა, წყალს სვამდა და ისვენებდა. ფისიკ მუსა მისულა წყაროსთან და დაყუდებულა წყალის დასალევად, ყარა მადოს დრო უხელთია, დანით ხელში, ზურგზე დახტომია. მუსას მოუსწრია და ყარა მადოსთვის დანიანი ხელი მაჯიდან დაუჭერია, მაჯა გადმოუბრუნებია, დანა ის იყო მუცელში უნდა დაერჭო მისთვის, რომ მადოს თანასოფლელი ბიჭისთვის დაუძახია – მიშველეო! ამ ბიჭს მოუსწრია და ფისიკ მუსასთვის თავში ქვა ჩაურტყამს და ასე მოუკლიათ იგი. ხალხში ხმა გავარდნილა – ფისიკ მუსაი მოკლესო. მილიცია და უშიშროება ყველგან ეძებდა მკვლელს. ფისიკ მუსას დას უთქვამს მილიციისთვის, რომ ჩემ ძმას ისე ვერავინ მოკლავდა, რომ მისთვის რაიმე ნიშანი არ დაედოო, მილიციისთვის ასპინძიდან შეუტყობინებიათ, რომ დამალელ ყარა მადოს ხელი აქვს გაჭრილიო. აღმოჩნდა, რომ, ჩხუბის დროს, დანით ჰქონდა ხელი გაჭრილი ყარა მადოს და ექიმის დახმარება დასჭირვებია. ბოლოს მილიციამ და უშიშროებამ დაადგინეს, რომ ფისიკ მუსა ყარა მადოს მოუკლია. მილიციამ ყარა მადო კი არ დაიჭირა, პირიქით მოხდა თურმე, მისთვის მადლობა გამოუცხდებია მოძალადის მოკვლისათვის.

მთქმელი **შოთა ბერიძე**, *მოსმენილი აქვს დამალელი*
ონიკ ალექსანიანისაგან,
რომელთანაც ერთად სატყეო მეურნეობაში მუშაობდა გასული საუკუნის 80-იან წლებში.
ჩაიწერა **გიორგი ჯვარიძემ**
2023 წლის 30 მაისს დაბა ასპინძაში

მატიანე

ედუარდ შევარდნაძე, ნიალაში. რაიონის ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად 1980-იანი წლები. სურათი მოგვაწოდა ქეთევან ლოლაძემ

საინტერესოა ვიცოდეთ!

თვეების სახელწოდებანი ქართულ კალენდარში

წარმართული	*ხალხური*	*თანამედროვე*
1. აპანი, აპნისი	აპანი	იანვარი
2. სარწყუნისი	განცხადებისთვე	თებერვალი
3. მირკანი	მირკანი	მარტი
4. იგრიკა	იგრიკა	აპრილი
5. ვარდობისა	ვარდობისთვე	მაისი
6. მარიალისა	თიბათვე	ივნისი
7. თიბისა	მკათათვე	ივლისი
8. ქველთობისა	მარიამობისთვე	აგვისტო
9. ახალწლისა	ენკენისთვე	სექტემბერი
10. სთვლისა	ღვინობისთვე	ოქტომბერი
11. ტირისკონისა	გიორგობისთვე	ნოემბერი
12. ტირისდენისა	ქრისტეშობისთვე	დეკემბერი

კულტურა

„იის კონცერტი შეკრული საუნჯე“

ამბობენ, როდესაც ადამიანი მიდის ამ ქვეყნიდან, საკუთარი ოჯახის წევრებისა და ახლობელი ადამიანების გარდა, სხვებსაც დასწყვეტს გულს და იტყვიან – ძალიან დააკლდა ქვეყანას და ტყუილად არ უცხოვრიაო. სწორედ ასე შეიძლება ითქვას გიორგი ლეონიძეზე – გოგლაზე, ქართული პოეზიისა და პროზის უდიდეს წარმომადგენელზე, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე პირნათლად

მოიხადა ვალი ქვეყნის წინაშე და ხალხის დიდი სიყვარული დაიმსახურა.

17 მაისს, ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფიების ორგანიზებით, ასპინძის სამუსიკო სკოლის დარბაზში, გაიმართა ლიტერატურული-მუსიკალური კომპოზიცია – „იის კონებად შეკრული საუნჯე“, რომელიც მთლიანად მიეძღვნა გიორგი ლეონიძის შემოქმედებას.

ლიტერატურულ-მუსიკალური შემოქმედების წამყვანმა და ორგანიზატორმა, ასპინძის საბავშვო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარმა, ქალბატონმა ნელი გოგოლაძემ ვრცლად ისაუბრა გიორგი ლეონიძის შემოქმედებაზე, მის დიდ ღვაწლზე ქართულ პოეზიასა და პროზაში, ისაუბრა როგორც საუკეთესო პიროვნებაზე, მეცენატზე, ადამიანზე, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ქვეყნისა და ხალხის სამსახურს შეალია.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ასპინძის საჯარო სკოლის მოსწავლეები: სოფო ნათენაძე, დავით მურადაშვილი, ნინო ბაბელაშვილი, მერი შეშაბერიძე (ფუფალა), ლაზარე გელაშვილი და საბა მელიქიძე, ყველაზე პატარა მონაწილე – სოფელ ივერიის საჯარო სკოლის მოსწავლე გიორგი ღორჯომელაძე.

ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა ცირა საქიძემ, ბექა ზედგინიძემ და ნუკრი ღორჯომელაძემ, ასევე სპეციალური მოწვევით – ნაირა გოგოლაძე.

17 მაისი ოჯახის სიწმინდის დღეა. სასიამოვნოა და სასიხარულოა, რომ ღონისძიებას ასევე ესწრებოდა ასპინძის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მოძღვარი მამა ზაქარია (გვარამაძე), რომელმაც ყველას ერთად მიულოცა ქართველი ხალხისთვის წმინდა დღე, დალოცა მონაწილეები.

ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია ჩატარდა საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში. თითოეულ მონაწილეს ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკისაგან დაჩუქრად გადაეცა წიგნები.

ღონისძიებას ესწრებოდა ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე, მერის მოადგილე ლევან ბერიძე, ასევე მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლები. ღონისძიების მონაწილეებს მესალმა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორი ავთანდილ ბერიძე.

ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის
საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული
განყოფილება

ზღაპარი ეთერიზე

ეთერი გლეხის შვილი იყო. ეთერს მოუკვდა დედა. მერე დედა რო მოუკვდა, დედინაცვალი ჰყავდა. დედინაცვალს ისე აძულებული ჰყავდა. ი დედინაცვალს თავისი გოგოც ჰყავდა. ამათ ჰყავდათ კიდევ ერთი ძროხა. წააყვანინებდა ი ძროხას და საღამომდე აბალახებდა. დედინაცვალი ერთ დამწვარ პურსაც ჩაუდებდა და ეტყოდა: ეს პური შენც ჭამე და გამვლელებსაც აჭამეო და ისევ უკან მოიტანეო. ერთხელაც თითისტარი გაატანა. ერთ კლდეზე დადგა გოგო და თითის ტარი გაუვარდა და ტყეში ჩავარდა. რო ჩავარდა, ვერაფრით ვერ ამოიღო. ქვეშ დაინახა, რომ ერთი ბებერი არის. მერე ი ბებერს დაუძახა: ე თითის ტარი შემომაწოდეო, მომეციო. ბებერმა ქვევიდან შემოსძახა, რომ აქ ჩამოდიო. ადგა გოგო და ჩავიდა. ბებერმა უთხრა, რომ წნილის ქოთნები მაქვს და დააკვრირდიო. ქოთნებში ზოგში ბაყაყები იყო, ზოგში გველები, ზოგშიც რა იყო და რა არა. მერე უთხრა: როგორ მოგწონს, შვილო ჩემო ქოთნებიო? ბებია, ძალიან მომწონსო, ძალიან კარგებიაო.

მერე ეგრე რომ უთხრა, შვილო, იქ დადექიო, სამი წყალი ჩამოვა, ჩამოიკლისო. ერთი შავი, ერთი წითელი და ერთი თეთრიო. წითელს შეუშვირე თავი, დაიბანეო და თმები ერთიანად ოქროდ გადაგექცევაო. ბებერმა უთხრა, ახლა ნადი შვილოო. რო წავიდა ეს ეთერი და სახლში დაბრუნდა, სულ შემოწერილი ჰქონდა თავზე, არ აჩენდა თმებს. ერთხელ კი დედინაცვალმა დაუნახა, რომ თმა სულ წითლად უბრჭყვიალებდა. დედინაცვალმა უთხრა, სულ რატომ გიბრჭყვიალამსო თმები. ეთერმა უთხრა, რომ ერთი ბებერი იყო და იმან მასწავლაო. ი ქალმა თავისი გოგოც გაგზავნა. რომ გაგზავნა, იმ გოგომაც ჩააგდო კვირის თავი, მემრე დაუძახა ბებერს, მომეცი კვირის თავიო.

– მოდი და აიღეო, – უთხრა ბებერმა.

– შენ მომეციო, – დაუძახა.

ბებერმა მასაც უთხრა, ქვემოთ ჩამოდიო.

რო ჩაიყვანა იქა, უთხრა, რომ სამი წყალი ჩამოიკლისო. შავ წყალში დაიბანე თავიო. თავი რომ დაიბანა, ვირის ყურები გამოება იმ გოგოს. მემრე მოვიდა დედამისთან. მივიდა და ჭრის ამ ვირის ყურებს, მაგრამ მაინც იზრდებოდა. ეთერი იძულებული იყო სახლიდან წასულიყო და მინდვრად წავიდა. ხელმწიფის შვილი დადიოდა სანადიროდ, მერე რომ ხელმწიფის შვილი შეხვდა ეთერსა, გამოკითხა მდგომარეობა და უთხრა, ცოლად უნდა წაგიყვანოო. ი ბიჭს ერქვა აბესალომი. მერე გოგომ უთხრა: შენ დიდი ხარ, დიდობილიო, დედმამით ხარ ქებულიო, მე ობოლი ვარ, ობლის შვილი, ობლობით ვარ დაჩაგრულიო. მიღალატებ, აბესალომ და ვერ წამოგყვებიო. მერე აბესალამა ფიცი მისცა. ფიცი რომ მისცა, ზეციდან ცეცხლი ცვიოდეს, თუ მე შენ გიღალატოო. მერე წაიყვანა. ეს რო წაიყვანა, მიიყვანა სახლში. მერე იმ აბესალამსა ძმობილი ჰყავდა, მურმანი და შეშურდა, ეს ქალი როგორ ჩავიგდო ხელშიო. აბესალამი მოვაკვლევინო და ეს ქალი მე დამრჩებაო. მერე ის მურმანი დგას და ფიქრობს. მაგ დროს ერთი ბებერი კუდიანი ქალი შხვდა. უთხრა მურმან, რას ფიქრობო. მე ეთერი მინდა ცოლადო და ვერაფრით ვერ გადავაშორებ აბესალომსო. საყდარში რომ ნაიყვანონო, ჯვრისდასაწერადო, ხელუკუღმა მოიტანეო ფეტვი და შეაყარეო. ი ბებერმა ასწავლა, ისაო, ი ფეტვი სულ ტილათ გადაექცევაო. სულ ჰქონდა და ჰქონდა. ბევრი ეწვალა აბესალომი, მაგრამ ვერაფრით ვერ გაანთავისუფლა ის ტილისაგან. მემრე მურმანმა უთხრა, მე გავანთავისუფლებო, მე მომეციო. წაიყვანა ი მურმანმა და გაანთავისუფლა და აბესალომი დარჩა ისე.

ორშაბათს შეყრილი მიჯნური, სამშაბათ გაეყარაო. მერე აბესალამ რამდენჯერაც გაივლიდა, შესძახებდა: მურმან, მურმან, შენსა მზესა, როგორა გყავს ეთერიო. მურმანი პასუხობდა: ცხრა მული თავთან უზის, თმა გიშერის დამწნელიო, გარეთ ცხრა მაზლი უზის, გველეშაპის მყლაპავებიო. მემრე ი ბიჭმა აბესალამმა იფიქრა, იფიქრა და ჩავარდა ლოგინად. რო ავად გახდა, ჰყავდა და, და იმ დასაც მარეხი ერქვა. მოვიდა და უთხრა ეთერს: შენსა მზესა, გავხვეტავ ქვასა მაგარსა და ზედ გავხვეტავ ქვიშასაო, აბესალომი ავად არის და წამობრძანდიო. მემრე ეთერმა უთხრა, წადი შენ და მეც მოვალო. მემრე სახლში ვერ შევიდა და ბინის თავზე ამოვიდა. აბესალომმა რომ დაინახა და უთხრა ეთერს, ცხენი უბოძეთო ტანწვრილი და გავა სქელიო. ეთერს ცხენი არ უნდაო, იქვე გასცა ხმა. სულს ლევდა აბესალამი.

აბესალამმა სული დალია. აბესალამის დანაო, ჯიბეს მიდიხარ თანაო, ამოვიღებ და დავირტყამ, მარცხენა ძუძუსთანაო. ამოიღო ის დანა და დაიკრა მარცხენა ძუძუსთანა და სული იმანაც დალია. მემრე წაიყვანეს და საფლავი ახლო-ახლო გასჭრეს და ისე დამარხეს.

მემრე რო დამარხეს, ამოუვიდათ თავზე ვარდები, ფეხებზე წყარო, ი ვარდები ერთმანეთს ეხვეოდნენ.

მოვიდა ი მურმანი, არ იყო სახლში და რომ გაიგო ეს ამბავი, იმანაც მოიკლა თავი და უთხრა, იმათ შუა დამმარხეთ მეცაო. იმათ შუა რო დამარხეს, იმის საფლავზე დიდი ეკალი ამოვიდა, ერთი დიდი ჩასუპევდა იმ ვარდებსა შუა. მერე დახედეს ამ ხალხმა, რომ ასეთი საქმე არის, ამოიღეს მურმანი და გადააგდეს. ი ვარდები კი ერთმანეთს ესიყვარულებოდნენ.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
იმათი დანაკლისი დღე თქვენ მოგცეთ და
იყავით კარგად.
თეთრი ხნული, შავი თესლი,
გავათავე და მეტი აღარა ვიცი რა.

ჩაიწერა **მ.კოჭლავაშვილმა**
სოფელ თოკში, ასპინძის რაიონი,
1965 წელი
(მთქმელი არაა მითითებული).
თსუ ფა N3990

ბოუკვარეულთა თასის ფინალი

26 მაისს დაბა ასპინძის ცენტრალურ სტადიონზე ,,მოყვარულთა თასი - 2023-ის“ ფინალი გაიმართა. ფინალში ერთმანეთს ტოლოშისა და ივერიის გუნდები დაუპირისპირდნენ. უნდა ითქვს, რომ ორივე გუნდმა გამოავლინა მაღალი სპორტული პროფესიონალიზმი. დაძაბული შეჯიბრების შედეგად გაიმარჯვა სოფელ ივერიის გუნდმა. გამარჯვებული ფეხბურთელები მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ და ასპინძის მაჟორიტარმა დეპუტატმა დავით ფართლაძემ სამახსოვრო თასით, სიგელებითა და მედლებით დააჯილდოვეს.

სიყვარულის თეთრი სონეტი

მთვარეს დიდი თაფლისთვალები, გრძელი წამწამები, ლამაზი ცხვირი და მარგალიტის კბილები ჰქონდა. იგი ოქროსფერი კი არა, თეთრი იყო. ადამიანის სახე ჰქონდა მთვარეს – მომღიმარი, ოცნებებში წასული, ზღვის ლურჯ ტალღებზე იწვა და ნებივრად ირწეოდა. ტალღის ყოველ გამოქროლებას ნაპირისაკენ, სასიამოვნო სიგრილესთან ერთად, მისი ჭკვიანი მზერა მოჰქონდა.

იგი ნაპირთან ანფასით მჯდომი ორი ადამიანის სილუეტს ხედავდა, რომელთა მხრები ნაზად ეხებოდნენ ერთმანეთს. ისინი ყოველ ღამით მოდიოდნენ ზღვასთან. ერთი ფერად კენჭებს კრეფდა ნაპირიდან და მეორეს აწვდიდა. მეორე, გამოწვდილი ხელიდან, ფრთხილად, რიგ-რიგობით იღებდა ქვებს და, როგორც ძვირფას საჩუქარს, ისე სთავაზობდა მათკენ მომავალ ტალღებს.

დიდი იყო იმ ღამის ცა... არა, დიდი კი არა – ღრმა, მაღალი და მოოჭვილი... იქნებ, სულაც, უსასრულო, უძირო და მიუწვდომელი.

ღამით ხომ მუდამ ლურჯია ცა? – ამ ღამით კი ოქროსფერი იყო. სინათლისა და მირაჟის ფერი. აურაცხელი მოციმციმე ვარსკვლავებით მოჭედილი...

ვარსკვლავიან ღამეს ოცნება ადვილი იყო, თავადვე ეწვეოდნენ ღამაზი ფიქრები და ადვილად აღწევდნენ იქაც კი, სადაც ადამიანის ფეხი ჯერ არ გაჭაჭანებულიყო. ცას თეთრი ნატერფალივით აჩნდა ტანჩაუცმელი სურვილის ნაკვალევი, ხოლო ქვიშას – შეერთებულ ბაგეთა სიტკბოს სურნელი ასდიოდა... და, რატომღაც, მხოლოდ ამ დროს იცვლიდა ფერს მთვარე, წყვილებს თვალს არიდებდა და მათი ტრფიალის საიდუმლოს ვარსკვლავებში მალავდა.

„დრო ცხენების რემას ეჯიბრებოდა დოღში“...

ღამე თანდათან იცრიცებოდა... ახლადფეხადგმული ალიონი, არეულ ნაბიჯებს ასწორებდა და ზღვაში ჩაძირულ მთვარეს გულში იხუტებდა. ცის დასალიერში ღრუბელი ნისლის კარვებს შლიდა. თვალებგაბრწყინებული სიყვარული ჯადოსნური სასმისით წყვილების სადღეგრძელოს სვამდა. მოციმციმე ბედის ვარსკვლავი ამაყად იჯდა ფეხმორთხმული და გულმოდგინედ ავსებდა დიდი წიგნის კიდევ ერთ ლამაზ ფურცელს. ამ წიგნს „სიყვარულის თეთრი სონეტი“ ერქვა.

ინგა მინაშვილი

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია